



N 21/8824
16/10/2023

8824-21-2-202310161609



შპს „ლეგ 2019“-ის დირექტორს

ბატონ ლევან ვარსიმაშვილს

მის: ქ. რუსთავი, მარის არხის III დასახლება,

ს.ს. რკინა-ბეტონის მიმდებარე ტერიტორია

ელ.ფოსტა: dartsimelia.dato@gmail.com;

david.zyrabishvili@yahoo.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

ბატონო ლევან,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N7320 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მე-5 თავში, მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი დაანგარიშების ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაცია წისქვილების გამფრქვევი მილის სიმაღლის შესახებ განსხვავდება ფორმა N2-ში („მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება“) წარმოდგენილი მონაცემებისგან. ზემოაღნიშნული განსხვავებული მონაცემები ასევე ასახულია გამოყენებული ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“-ში, რომელიც პროპორციულად ახდენს გავლენას სპეციალურად შერჩეულ წერტილებში ზღვ-ის მაჩვენებლებზე და ცვლის მათ მნიშვნელობებს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს წისქვილების გამფრქვევი მილების სიმაღლე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კომპიუტერულ პროგრამულ მოდელირებაში გამოყენებულ იქნას დაკორექტირებული მონაცემები და გადამუშავდეს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია დამატებითი ახალი, 17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილის მონტაჟი. ამასთან, აღნიშნულია, რომ საწარმოში არსებულ 6 სილოსს ექსპლუატაციის ცვლილების

შემდეგ დაემატება 4 ცალი, თითოეული 120 ტ ტევადობის სილოსი. შესაბამისად, ექსპლუატაციის ცვლილების შემდეგ სულ იქნება 10 ცალი სილოსი (ჯამური ტევადობა 1200 ტ). საპროექტო ტერიტორიის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე შესრულებულია, კერძოდ მოწყობილია 17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილი და დამატებით 4 სილოსი. წარმოდგენილი იქნას მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არსებული რეალობის გათვალისწინებით;

- გზმ-ის ანგარიშის 2.1. ქვეთავში „საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა“ სრულყოფილად არ არის განხილული საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმო ობიექტები. კერძოდ, აღნიშნულ თავში არ არის წარმოდგენილი საწარმოს მომიჯნავედ არსებული შპს „ჯეოფერო მეტალის“, შპს „ობ გრუპის“, შპს „ექსდი 22“-ის, შპს „ჯეომეტალ გრუპის“ და შპს „ჩახვაძე და კომპანიას“ საწარმოები (დანიშნულებების მითითებით), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშში, 2.9 ქვეთავში („ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი“) მოცემული ჩანაწერი - „თუ გავითვალისწინებთ საწარმოს სიმძლავრეს და რუსთავში არსებული საწარმოების რაოდენობას და სიმძლავრეებს, შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს სიმძლავრის გაზრდა პრაქტიკულად არ გამოიწვევს ქ. რუსთავის არსებულ ფონურ მდგომარეობას, ის უმნიშვნელოდ შეიცვლება მხოლოდ საწარმოს უშუალო შემოგარენში“ საჭიროებს დამატებით განმარტებას;
- გზმ-ის ანგარიშის კუმულაციური ზემოქმედების თავში აღნიშნულია, რომ „გაანგარიშების შედეგების მიხედვით, ყველაზე უარესი სცენარის პირობებში (როცა ერთდროულად იმუშავებს ყველა დანადგარი და საწარმოს სიახლოვეს არსებული საწარმოები), ხმაურის გავრცელების მაქსიმალური დონე არ აჭარბებს 30 დბა-ს.“ თუმცა არ არის წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების გაანგარიშება, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წინასწარი შეფასებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ აღემატება დასაშვებ ნორმებს ახლომდებარე მოსახლეობასთან მიმართებაში, რადგან ხმაურწარმომქმნელი დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, რომელიც საგრძნობლად ამცირებს მის სიდიდეს (მინიმუმ 25%-ით) და წარმოადგენს დამცავ ფარს. გზმ-ის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „ახალი წისქვილის განთავსების ტერიტორიაზე აშენებული იქნება ფარდულის ტიპის შენობა, რომელიც სამი მხრიდან და ზემოდან დახურული იქნება.“ გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების ფარგლებში დადგინდა, რომ ხმაურწარმომქმნელი დანადგარები (წისქვილები) განთავსებულია ფარდულის ტიპის შენობაში, რომელიც ღიაა უახლოესი დასახლებული პუნქტის, სოფ. თაზაქენდის მიმართულებით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორც გზმ-ის ანგარიშში მოცემული ჩანაწერები, ასევე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების საკითხი, ვინაიდან ფარდულის ტიპის შენობა უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში ვერ განიხილება ხმაურდამცავ ბარიერად.

შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებითი ხმაურდამცავი ღონისძიების (ხმაურდამცავი ეკრანი ან/და სხვა) შესახებ ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ. კერძოდ, ზოგიერთ თავში აღნიშნულია, რომ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში, თუმცა ზოგიერთ თავში მითითებულია, რომ სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაედინება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში, რომლის გატანა განხორციელდება პერიოდულად საჭიროებისამებრ. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშის დანართში 7 მოცემულია სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საწარმოს ინსპექტირების შედეგები, რომლის თანახმად, 2021 წლის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს სამეურნეო-ფეკალური, მათ შორის საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩართვა გათვალისწინებული იყო ქ. რუსთავის არსებულ კოლექტორში, შეთანხმებული ტექნიკური პირობების შესაბამისად. თუმცა ინსპექტირების შესაბამისად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე, სადრენაჟო/წყალამრიდი არხები და შემკრები სისტემა, შესაბამისად აღნიშნული წყლები არ არის ჩართული სანიაღვრე საკანალიზაციო ქსელში. აღნიშნულთან დაკავშირებით, დოკუმენტში მოცემულია განმარტება, რომლის მიხედვით საწარმოს სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაედინება ქ. რუსთავის საყოფაცხოვრებო კანალიზაციაში, ხოლო სანიაღვრე წყლები - არსებულ სანიაღვრე არხებში, რომლებიც საბოლოოდ ქ. რუსთავის სანიაღვრე სისტემებში ხვდება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორც სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, ისე სანიაღვრე ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი (სქემაზე ჩვენებით);
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პერსონალს განემარტება ინსინერაციას დაქვემდებარებულ ნარჩენებთან და ნაცართან მოპყრობის წესები.“ დაზუსტებას საჭიროებს რა სახის ნარჩენების ინსინერაციას გეგმავს კომპანია;
- 2023 წლის 14 სექტემბერს გამართულ საჯარო განხილვაზე სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენელი დაინტერესდა თუ სად ხდება კომპანიის მიერ შეძენილი კლინკერის ჩამოცლა და ვინაიდან, აღნიშნულ პროცესში მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების (მტვრის) მნიშვნელოვანი გაფრქვევა, რა შემარბილებელი ღონისძიებებია გათვალისწინებული ამ კუთხით. კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლინკერის ჩამოსაცლელად ხდება კერძო კომპანიის დაქირავება და უშუალოდ ჩამოცლის პროცესში შპს „ლევ 2019“ არ იღებს მონაწილეობას, შესაბამისად შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს. გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, სასაწყობო მოედანზე დამონტაჟებულია კლინკერის და დანამატების ბუნკერები, რომლებშიც მასალების ჩაყრა ხორციელდება ავტოჩამტვირთველის საშუალებით. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროდ გათვალისწინებულია გაფრქვევები კლინკერის დასაწყობებისას (#500 წყარო, გ-6). შესაბამისად, კლინკერის

ჩამოცლის/დასაწყობების საკითხი საჭიროებს დამატებით განმარტებას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

ტექნიკური სახის უზუსტობები:

- გზმ-ის ანგარიშში დაგეგმილ საქმიანობად განხილულია საწარმოს არსებული საქმიანობა, კერძოდ თავში 1.3. აღნიშნულია, რომ „საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 79200 ტონა ცემენტის წარმოება. საწარმო იმუშავებს 330 სამუშაო დღის განმავლობაში, 20 საათიანი სამუშაო გრაფიკით. 79200 ტონა ცემენტის წარმოებისათვის გათვალისწინებულია 63360 ტონა კლინკერის, 3960 ტონა თაბაშირის და 11880 ტონა დანამატების დაფქვა.“ აღნიშნული წარმადობის ფარგლებში საქმიანობაზე კომპანიას უკვე გააჩნია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-503; 18.07.2022). შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშის 5.1 ქვეთავში მოცემული ჩანაწერი - „საწარმო მომარაგებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, კერძოდ: მომარაგებული იქნება ცეცხლმაქრების საკმარისი მარაგი და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი“ გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას. კერძოდ, დაზუსტებას საჭიროებს საწარმო მომარაგებულია თუ არა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, თუ დაგეგმილია სამომავლოდ მომარაგება;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის სხვადასხვა თავებში ერთი და იმავე ინფორმაცია განხილულია სხვადასხვა დროებში, რაც ართულებს არსებული და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ ინფორმაციის აღქმას. მაგალითად, ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის შესახებ (4.1.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ემისიების სისტემატური ინსტრუმენტული მონიტორინგი, რისთვისაც წისქვილის მტვერდამჭერი ფილტრის გამოსავალზე მოეწყობა ონლაინ მონიტორინგის სისტემა,“ ამასთან, თავში 12 მოცემული ინფორმაციის თანახმად, „საწარმოში ცემენტის დაფქვის არსებულ 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილებზე დამონტაჟებულია უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის გერმანული წარმოების სისტემა), სახელოებიანი ფილტრების დამონტაჟების საკითხი (1.3 ქვეთავში აღნიშნულია, რომ გათვალისწინებული იყო არსებული 6 სილოსიდან თითოეულზე 6 გამწმენდი სისტემის - სახელოებიანი ფილტრის დამონტაჟება, მაგრამ მოხდა მათი ერთმანეთთან შეერთება მილებით და მათზე დამონტაჟდა ერთი გამწმენდი სისტემა (სახელოებიანი ფილტრი), რომელიც ემსახურება ყველა სილოსს ერთდროულად. ამასთან, თავში 7 მოცემული ინფორმაციის მიხედვით, ერთმანეთთან მილებით შეერთებულ არსებულ 6 ცალ სილოსზე დამონტაჟებული იქნება 99.9% ეფექტურობის მქონე სახელოებიანი ფილტრები) და სხვა.

გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით გიგზავნით სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

დანართი: ელ. ვერსია

პატივისცემით,

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

